ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 255

9 ივნისი
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ეი ჯი პი სი 2022"-ისთვის (ს/ნ. 405578307) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ეი ჯი პი სი 2022"-ისთვის (ს/ნ. 405578307) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 26 მაისის N23.731.825 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ეი ჯი პი სი 2022"-ისთვის (ს/ნ. 405578307) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე